

შპს სიპაუერი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2018
 ერთეული ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		19,415	5,283
სავაჭრო მოთხოვნები		37,509	-
გადახდილი ავანსები		633,753	32
მარაგები		184,910	184,561
ძირითადი საშუალებები	3	33,669,043	151,844,765
სხვა გრძელვადიანი აქტივები		221,839	-
სულ აქტივები		<u>34,766,469</u>	<u>152,034,641</u>
სავაჭრო ვალდებულებები		131,501	161,917
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		84,185	186,860
სულ ვალდებულებები		<u>215,686</u>	<u>348,777</u>
კაპიტალი		26,172,885	21,618,444
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		8,377,898	130,067,420
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>34,550,783</u>	<u>151,685,864</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>34,766,469</u>	<u>152,034,641</u>

შპს სიპაუერი
 საქმიანობის შედეგი
 31 დეკემბერი, 2018
 ერთეული ლარი

	შენიშვნა	2018 წელი
შემოსავალი		-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(3,190,592)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(145,752)
იჯარის ხარჯი		(9,780)
საპროცენტო ხარჯი		(95,541)
სხვა შემოსავალი		39,788
სულ წმინდა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(3,401,877)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ხარჯი	3	(118,287,645)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(121,689,522)
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)		(121,689,522)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		<u>(121,689,522)</u>

შპს სიპაუერი
კაპიტალის მოძრაობა
31 დეკემბერი, 2018
ერთეული ლარი

1 იანვარი, 2018

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	151,685,864
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	4,554,441
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(121,689,522)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	34,550,783

31 დეკემბერი, 2018

შპს სიპაუერი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018
ერთეული ლარი

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(4,202,211)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	4,216,343
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	14,132
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,283
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19,415

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს სიპაუერი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ქუჩა #2, ქ.გარდაბანი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობაა. შპს სიპაუერის საბოლოო მფლობელი კომპანიაა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2018	151,871,168
შესყიდვა/დამატება	122,371
გაუფასურება	(118,287,645)
31 დეკემბერი, 2018	33,705,894
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	(26,403)
წლიური ცვეთის ხარჯი	(10,448)
31 დეკემბერი, 2018	(36,851)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	151,844,765
31 დეკემბერი, 2018	33,669,043


4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს საგადასახადო ხარჯს 1,076,449 ლარის ოდენობით, საინფორმაციო, საკონსულტაციო & პროფესიულ ხარჯს 2,003,608 ლარის ოდენობით და სხვა ხარჯებს.


5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

შპს სიპაურს, საქართველოს მთავრობასა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკო) შორის 2015 წლის ოქტომბერში გაფორმდა შეთანხმება, რომლის შედეგადაც თბოსადგურს უნდა გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი. შპს საქნახშირი იყო ერთადერთი ლიცენზირებული ნახშირმომპოვებელი კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე. 2019 წელს შპს საქნახშირი, რომელი ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, გავიდა ჯი-აი-ჯი ჯგუფიდან. ეს გადაწყვეტილება ჯი-აი-ჯი ჯგუფის მენეჯმენტმა იმიტომ მიიღო, რომ წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა მოეძია საინჟინრო გადაწყვეტილებები, რომლის შედეგადაც ნახშირის მოპოვება გახდებოდა სრულიად უსაფრთხო და ეკონომიკურად გამართლებული. ამ ყველაფრის შედეგად სადგურის მშენებლობის პროექტი ეჭვქვეშ დადგა და გახდა კომპანიის აქტივების გაუფასურების მიზეზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4 დეკემბერი, 2019



დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

შპს სიპაურს, საქართველოს მთავრობასა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს (ესკო) შორის 2015 წლის ოქტომბერში გაფორმდა შეთანხმება, რომლის შედეგადაც თბოსადგურს უნდა გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნახშირი. შპს საქნახშირი იყო ერთადერთი ლიცენზირებული ნახშირმომპოვებელი კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე. 2019 წელს შპს საქნახშირი, რომელი ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, გავიდა ჯი-აი-ჯი ჯგუფიდან. ეს გადაწყვეტილება ჯი-აი-ჯი ჯგუფის მენეჯმენტმა იმიტომ მიიღო, რომ წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა მოეძია საინჟინრო გადაწყვეტილებები, რომლის შედეგადაც ნახშირის მოპოვება გახდებოდა სრულიად უსაფრთხო და ეკონომიკურად გამართლებული. ამ ყველაფრის შედეგად სადგურის მშენებლობის პროექტი ეჭვქვეშ დადგა და გახდა კომპანიის აქტივების გაუფასურების მიზეზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

4 დეკემბერი, 2019

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი